

**თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის**  
**ოქმი #28**

ქ. თბილისი

2023 წელი, 16 მარტი, 18:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, გივი ჩხარტიშვილი, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ლილე ლიპარტელიანი, მიხეილ კაკაურიძე, საბა ბუაძე, მამუკა გუგუშაშვილი, ნინო წულაძე

**სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:** ზურაბ აბაშიძე, ზაზა თავაძე

**სხდომის თავმჯდომარე:** რევაზ სოხაძე

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

**სერგო ბირკაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი

**ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

**ქვარა ჩართოლანი** - ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე

**ნინო ბაგაშვილი** - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

**ოთარ ჩიტაძე** - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

**ლევან ჟორჯოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

№	საკითხის დასახელება
1.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-0323074108-03- 15.03.2023)</a>

2.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს №12-0323074115-03- 15.03.2023)
3.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03230744-03- 15.03.2023 ; №12-0323074109-03- 15.03.2023; №12-0323074118-03- 15.03.2023; №12-0323074120-03- 15.03.2023; ; №12-03230542-03 - 23.02.2023; №12-03230541-03 - 23.02.2023; 12-03230475-03 - 16.02.2023 გადადებული „ა“ პოზიცია)
4.	ქალაქ თბილისში, ზოგდან ხმელნიცკის ქუჩა №42-ში; ქალაქი თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №118; №118ა; №116ბ; №116; №124ა; №116ა; № 124-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.11.029.043; №01.17.11.029.035; №01.17.11.029.028; №01.17.11.029.037; №01.17.11.029.030; №01.17.11.029.013; №01.17.11.029.038; №01.17.11.029.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032305554-03 - 24.02.2023)
5.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.13.669; №81.02.13.671; №81.02.13.670; №81.02.13.672) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032305555-03 - 24.02.2023)
6.	„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის №314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032305556-03 - 24.02.2023)
7.	„ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის №117ე, №117, №117ბ, №117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.06.001.036; №01.13.06.001.011; №01.13.06.001.015; №01.13.06.001.027; №01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0323055121-03 24.02.2023)

8.	„ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.013, ნაკვეთი 13/13) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N200 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ <a href="#">(საკრებულოს №12-0323074124-03- 15.03.2023)</a>
9.	ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-0323074117-03- 15.03.2023)</a>
10.	"ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქ თბილისში, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი, №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.013.926; №01.72.14.009.657; №01.10.05.042.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საავტომობილო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-0323074122-03- 15.03.2023)</a>
11.	„ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ <a href="#">(საკრებულოს №12-0323074123-03- 15.03.2023)</a>
12.	ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევი №7ა-ში; ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.011; №01.17.11.027.144; №01.17.11.027.145; №01.17.11.027.143; №01.17.11.027.134) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ <a href="#">(საკრებულოს №12-0323074116-03- 15.03.2023)</a>
13.	ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-0323074126-03- 15.03.2023)</a>
14.	„ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.060; N01.14.16.008.142; N01.14.16.008.144; N01.14.16.008.143; N01.14.16.008.141; N01.14.16.008.140) კინო-ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-0323074121-03- 15.03.2023)</a>

15.	ქალაქ თბილისში, ვ.ფშაველას I შეს. N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-0323074114-03- 15.03.2023)</a>
16.	„ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ <a href="#">(საკრებულოს №12-0323074113-03- 15.03.2023)</a>
17.	ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-0323074110-03- 15.03.2023)</a>
18.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.005); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.002) 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.014) - მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „სანამის“ (ს/კ 402191150) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების შესახებ“ <a href="#">(საკრებულოს №12-0323074125-03- 15.03.2023)</a>
19.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ: 01011013838) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ <a href="#">(საკრებულოს №12-0323074125-03- 15.03.2023)</a>

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე [\(საკრებულოს №12-0323074108-03- 15.03.2023\)](#)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ (შემდგომში - განაშენიანების რეგულირების წესები) წარმოადგენს რა ქალაქთმშენებლობითი რეგულირების სისტემის ნაწილს, არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებისათვის ქალაქთმშენებლობის სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ამ სამართალურთიერთობის მონაწილეთა და მესამე პირთა უფლებამოვალეობებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) მიერ არაერთხელ გაცხადებულა, რომ ძველი თბილისის განახლება-რეაბილიტაცია არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. სწორედ ამ მიზნით, არაერთი პროგრამა შემუშავდა და ათეულობით მილიონი ლარიც იხარჯება დედაქალაქის ბიუჯეტიდან. მაგალითად: ა) ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“, სრული დატვირთვით არის ჩართული ძველი თბილისის, ისტორიული უბნების განახლება-რეაბილიტაციის პროცესში; ბ) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში რაიონის გამგეობები ახორციელებენ ათეულობით ასეთ შენობა-ნაგებობებში გამაგრებით თუ სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს; გ) შეიქმნა ახალი პროგრამა - „ავარიული სახლების ჩანაცვლება“, რა დროსაც, მუნიციპალიტეტი სრულიად, თავისი ხარჯებით ახორციელებს ძველი ავარიული საცხოვრებელი კორპუსების ჩანაცვლებას ახალი, თანამედროვე და გარემონტებული კორპუსებით. ამ პროცესში მესაკუთრეებს არ ეხარჯებათ არც ერთი თეთრი. თუმცა, გარდა აღნიშნულისა, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობებში მცხოვრები პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის, დეველოპერების ჩართულობა ისტორიულ უბანში ავარიული სახლების ჩანაცვლება/ რეაბილიტაციის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, შესაძლებელი გახდება ავარიული სახლის მესაკუთრეებთან შეთანხმების შემდეგ ბიზნეს სექტორმა თავად მოახდინონ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება ან რეაბილიტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესი, ავარიული სახლის ჩანაცვლებას ან რეაბილიტაციას მოახდენს მხოლოდ ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ შემუშავებული დეტალური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. აღნიშნულის სანაცვლოდ, კი მუნიციპალიტეტი ბიზნეს სექტორს სთავაზობს, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომელიც უნდა მდებარეობდეს აუცილებლად კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონის გარეთ (და არა ისტორიულ უბანში) გაუზარდოს შესაბამისი ოდენობის K-2 კოეფიციენტი. გარდა აღნიშნულისა, პროექტის მიხედვით, ბიზნეს სექტორს მიეცემა შესაძლებლობა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონის გარეთ (და არა ისტორიულ უბანში) არსებულ მიწაზე, რომელიც იქნება მათი საკუთრება, ან სხვისი საკუთრება თუმცა, ამ მიწის მესაკუთრეთა თანხმობის შემთხვევაში, მოითხოვონ K-2 კოეფიციენტის გადამეტება, რის სანაცვლოდაც მათი მხრიდან მოხდება შესაბამისი ოდენობის საფასურის გადახდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. აღნიშნული თანხა, კი, რაც ამ პროცესიდან მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, მოხმარდება სწორედ ისტორიულ უბანში ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციას, რასაც დადგენილი წესების მიხედვით უზრუნველყოფს ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“. ამდენად, ბიზნესის ჩართულობის ეს აღნიშნული პროცესები და პრინციპები, ერთის მხრივ ხელს შეუწყობს, რომ არ მოხდეს ზედმეტი მოცულობებით მშენებლობის განხორციელება და მაქსიმალურად დავიცვათ ისტორიული უბნების იერსახე, რაც არის ძველი თბილისის სიმდიდრე და ისტორია, ხოლო მეორეს მხრივ დავიცავთ და ხელს

შევუწყობთ ამ უბნებში ავარიული სახლების მესაკუთრეებს გაიუმჯობესონ საცხოვრებელი და ყოფითი პირობები. გარდა ზემოაღნიშნულისა, დადგენილებაში შესატანი ცვლილების მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეებს მიეცემა შესაძლებლობა, რომ მათი საკუთრების, მათი ქონების გასხვისების/გაყიდვის პროცესი აუქციონის საშუალებით უზრუნველყოს მერიამ. ამ მიზნით: I - ეტაპი ა) ავარიული საცხოვრებელი კორპუსის ყველა მესაკუთრე უნდა შეთანხმდეს თავიანთი ქონების (მთლიანი შენობის) გაყიდვის სურვილზე და განცხადებით მიმართონ შესაბამის გამგეობას; ბ) საცხოვრებელი კორპუსის ავარიულობის ხარისხი უნდა იყოს V, IV ან III კატეგორია; II - ეტაპი გ) სსიპ - ქონების მართვის სააგენტო შეაფასებს ამ ქონებას; დ) სსიპ - ქონების მართვის სააგენტო მიმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს და მიიღებს წინასწარ პოზიციას ამ ქონების შემდგომი სამშენებლო განვითარების პოტენციალის შესახებ; ე) ამ ინფორმაციას სსიპ - ქონების მართვის სააგენტო აუქციონის ჩატარებამდე, 2 თვის ვადით განათავსებს საჯაროდ, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს ყველა პოტენციური დაინტერესებული მყიდველისათვის; III - ეტაპი ვ) ნებისმიერ დაინტერესებულ მყიდველს, დეველოპერს, ბიზნესს ექნება შესაძლებლობა აუქციონის გამართვამდე მიმართოს მერიას და დამატებით გაიროს კონსულტაცია, მიიღოს წინასწარი პოზიცია გასაყიდი ქონების შემდგომი სამშენებლო განვითარების კუთხით; IV - ეტაპი ზ) სსიპ - ქონების მართვის სააგენტო აცხადებს აუქციონს მესაკუთრეთა მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურით; თ) თუ ქონება არ გაიყიდა პირველ აუქციონზე, მესაკუთრეთა თანხმობით ჩატარდება განმეორებითი აუქციონებიც (ჯამში არაუმეტეს 3-ჯერ ერთ ქონებაზე); ი) ქონების გაყიდვის შემთხვევაში, მთავრდება აუქციონი და გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება ქონების მესაკუთრეებს, მყიდველს და მერიას შორის. აუქციონის ჩატარება და მასთან დაკავშირებული შემდგომი ყველა საჭირო პროცედურა განხორციელდება სრულიად უსასყიდლოდ, ყოველგვარი მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების წესებს დაემატება „თავი V 2 კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენება“ და „თავი V 3 კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, კერძო საკუთრებაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გასხვისების მიზნით ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება“. პროექტი ასევე ითვალისწინებს რეკრეაციული სივრცეების შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, კერძოდ: მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე რეკრეაციული სივრცეების არამარტო შენარჩუნება, არამედ ახალი სივრცეების შექმნა. სწორედ ამ მიზნით, იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც არის კერძო საკუთრებაში და სადაც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი დაგეგმავს რეკრეაციული სივრცეების - ბაღის, სკვერის, პარკის, ბულვარის, საბავშვო მოედანის ან სპორტული შენობა-ნაგებობის (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზი) მოწყობას, მერია ამ მიწის მესაკუთრეებს შესთავაზებს ამ მიწის სანაცვლოდ სხვა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე შესაბამისი ოდენობით K-2 კოეფიციენტის მომატებას. ამ პროცესით, ერთის მხრივ, დედაქალაქს მიეცემა შესაძლებლობა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოაწყოს ახალი რეკრეაციული სივრცე, ხოლო მეორეს მხრივ დაცული იქნება მესაკუთრის კანონიერი ინტერესებიც და მას ამ მიწის სანაცვლოდ, მიეცემა უფლება სხვა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაზარდოს K-2 კოეფიციენტი შესაბამისი ოდენობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მიწაზე K-2 კოეფიციენტის მატება, არ მოხდება ყველა შემთხვევაში. ეს პროცესი მოხდება მხოლოდ იმ მიწებთან მიმართებაში, რომელიც საზოგადოებრივი



ინტერესებიდან გამომდინარე არის მნიშვნელოვანი, ანუ თუ ეს მიწა გამოყენებული იქნება მხოლოდ რეკრეაციული სივრცეების მოწყობისათვის, და გარდა ამისა, ამ პროცესით, ანუ იმ მიწით, სადაც იგეგმება რეკრეაციული სივრცის მოწყობა, დაინტერესებული და ინიციატორი იქნება სახელმწიფო ან თავად მუნიციპალიტეტი. დედაქალაქის შემთხვევაში, კი ინიციატორი იქნება დედაქალაქის მთავრობა. განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა. წარმოდგენილი პროექტით, ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს ემატება „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, გარდა მოქმედი წესებით განსაზღვრული შემთხვევებისა, დასაშვები იქნება ერთჯერადად ასევე შემდეგ შემთხვევებში: (ა) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცვლის ფორმით პრივატიზების გამოყენების სანაცვლოდ, კერძო საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთზე (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული მიწის ნაკვეთისა) და (ბ) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში. აქვე, იგივე მუხლის მე-4 პუნქტს ემატება 4 1 და 4 4 პუნქტები და ზუსტდება, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცვლის ფორმით პრივატიზების გამოყენების სანაცვლოდ, კერძო საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთზე (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული მიწის ნაკვეთისა) - კ-2 კოეფიციენტის გადამეტება შესაძლებელი იქნება, თუ იარსებებს ყველა შემდეგი გარემოება: კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც უნდა გახდეს თბილისის საკუთრება, იგეგმება ბაღის, სკვერის, პარკის, ბულვარის, საბავშვო მოედანის ან სპორტული შენობა-ნაგებობის (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზი) მოწყობა; აღნიშნული ღონისძიებით დაინტერესებული და ინიციატორი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. კერძო საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთზე, გაცვლის ფორმით პრივატიზების გამოყენების სანაცვლოდ კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება იგეგმება მხოლოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის. კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებით დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას წარუდგენს სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს. ქონების მართვის სააგენტო ადგენს მიწის ნაკვეთის განვითარების საჭიროებას, რის შესახებაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დადებითი გადაწყვეტილების შემდგომ, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანო განიხილავს კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების მიზნით, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების გაცემის საკითხს და ამზადებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებელი გადამეტებული იქნება ამ პროექტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადამეტებულ ფართზე, არ გავრცელდება ამ განაშენიანების რეგულირების წესების 31-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლის დასაშვებობის კრიტერიუმებს. განაშენიანების რეგულირების წესების 39 1 მუხლი არეგულირებს თბილისის ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლებისა და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ავარიული შენობა-ნაგებობების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების

განხორციელების კრიტერიუმებს და წარმოდგენილი პროექტით ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დამადასტურებელი დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი არის IV ან V კატეგორიის. ამასთან, ეს დასკვნა გაცემული უნდა იქნას სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობა ავარიულობის საფუძვლით დემონტირებულია/დანგრეულია სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე გაცემული დასკვნის საფუძველზე, დამატებითი დასკვნის წარმოდგენა სავალდებულო არ არის“. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: განაშენიანების რეგულირების წესებში განხორციელებული ცვლილებებით, 2022 წლის 14 ივნისიდან ავარიულობის კატეგორიის განსაზღვრის მიზნით, სავალდებულო გახდა სამხარაულის სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) დასკვნის წარმოდგენა. თუმცა, პრაქტიკაში გამოიკვეთა შემთხვევები, როცა, დამკვეთის მიერ შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დადგენის მიზნით მიმართვა შესაბამისი აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოებისათვის განხორციელებული იყო 2022 წლის 14 ივნისამდე, ან რიგ შემთხვევებში დაწყებული იყო არაოფიციალური საქმის წარმოება ავარიულობის ხარისხის დადგენის მიზნით, თუმცა დასკვნა გაიცა ამ თარიღის (14.06.22) მერე. ასეთ შემთხვევაში, დამკვეთი ცხადია ვერ იქნებოდა ინფორმირებული და შესაბამისად არც ქონდა ვალდებულება მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა მოეპოვებინა. ამ ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის ვადა გადაიწიოს 2023 წლის 1 იანვრამდე და წესში დაზუსტდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობა ავარიულობის საფუძვლით დემონტირებულია/ დანგრეულია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე გაცემული დასკვნის საფუძველზე, დამატებითი დასკვნის წარმოდგენა სავალდებულო აღარ იყოს. პროექტით ზუსტდება 39 1 მუხლის 13 1 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებიც, კერძოდ, „დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს თუ რამდენი უნდა იყოს ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში სარეალიზაციო ფართის ღირებულება. აქ ზუსტდება, რომ მხოლოდ იმავე ადგილზე ჩანაცვლებული შენობა-ნაგებობა კი არ იგულისხმება ამ დროს, არამედ ნებისმიერ მიწაზე ჩანაცვლების მიზნით აშენებული შენობა-ნაგებობა. „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ ეკონომიკური გაანგარიშების დროს არ იანგარიშება ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება. აქაც ზუსტდება, რომ ეკონომიკურ გაანგარიშებაში არ უნდა იანგარიშებოდეს, არა მხოლოდ უშუალოდ ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება, არამედ ნებისმიერი შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება, რომელიც ჩანაცვლების მიზნით გამოიყენება. 39 1 მუხლს ემატება 14 1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის შემთხვევაში, პირობად უნდა განისაზღვროს, რომ ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის უფლება გაიცეს მხოლოდ ახალ მშენებლობის ნებართვასთან ერთად. ამავე მუხლის მე-17 პუნქტის ცვლილებით სიტყვები - „ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა“ იცვლება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონით“.

*საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრებმა ნინო წულაძემ. ხოლო უარყოფითი შეფასება მისცეს საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.*



*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს №12-0323074115-03-15.03.2023)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავამ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები 1 530,8 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 776 457,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის, სამგორის რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) ქვეპროგრამის ასიგნება – 100,0 ათასი ლარით, თბილისის საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) პროგრამის ასიგნება - 70,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) პროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 360,8 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 20 ერთეულით, შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4085 ერთეულით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 638 663,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 578 563,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 872 224,4 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 208 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 26 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 622 224,4 ათასი ლარი. გრანტები 474 962,8 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 407,8 ათასი ლარი;

*საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03230744-03-15.03.2023 ; №12-0323074109-03- 15.03.2023; №12-0323074118-03- 15.03.2023; №12-0323074120-03- 15.03.2023; ; №12-03230542-03 - 23.02.2023; №12-03230541-03 - 23.02.2023; 12-03230475-03 - 16.02.2023 გადადებული „ა“ პოზიცია)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-03230744-03-15.03.2023 ; №12-0323074109-03- 15.03.2023; №12-0323074118-03- 15.03.2023; №12-0323074120-03-15.03.2023; ; №12-03230542-03 - 23.02.2023; №12-03230541-03 - 23.02.2023; 12-03230475-03 - 16.02.2023 გადადებული „ა“ პოზიცია) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანმა, ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 29 წინადადება კერძოდ:

**№12-03230744-03- 15.03.2023;**

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) გამოიყო შემდეგი რიგის ქალაქთმშენებლობითი არეალები და მათი პროგრამა. მათ შორის, განისაზღვრა სხვადასხვა ნიშნით პრობლემური არეალები, რომელთათვისაც დიდწილად შეიზღუდა სამშენებლოდ განვითარება და განისაზღვრა განვითარების სპეციალური პირობები. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილების საფუძველზე, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფისა და დედაქალაქის იერსახეზე ზრუნვის მიზნით, დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პირობები და პროცედურა. წესის თანახმად, ავარიული სახლის ჩანაცვლებად განისაზღვრა დემონტაჟი და მის ადგილას ახალი და მდგრადი შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა, ისე რომ დაცული იქნას დაინტერესებული პირების საკუთრების უფლება და სხვა კანონიერი ინტერესები. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავარიული სახლების ჩანაცვლებას ახორციელებს პროექტის განმახორციელებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“ (ს/ნ 404384974). წლების განმავლობაში ქ. თბილისის მასშტაბით არსებულ ავარიული შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებდა

გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებებს, რაც ძირითად შემთხვევაში მიმართული იყო ჩამონგრევა-ჩამოქცევის საშიშროების რისკების მოსახსნელად და ტარდებოდა შენობების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები. წლების განმავლობაში პრობლემური კორპუსების დაგროვებული რაოდენობიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია ამორტიზებული შენობების გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებების ეფექტურად განხორციელება და აუცილებელი გახდა განსხვავებული მიდგომების დანერგვა. შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა რაიონის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება, ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას, საცხოვრებელი სახლების ჩამოქცევის შედეგად გამოწვეული უბედური შემთხვევების პრევენციას. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიან საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ისეთი მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობების ჩანაცვლებას, რომელთა ავარიულობის ხარისხი V, IV ან III კატეგორიას წარმოადგენს. გარდა V და IV კატეგორიისა, მძიმე დაზიანებები აღინიშნება III კატეგორიის მქონე შენობა-ნაგებობებს, რაც შენობის ნაწილების ნგრევაში, კედლების ნაწილების ფრაგმენტულ ჩამოტეხვაში, შენობის ცალკეული ნაწილების კავშირის რღვევაში, შიდა კედლებისა და კარკასის შევსების ადგილების ჩამოქცევაში გამოიხატება. ამასთან არსებობს, ავარიულობის ხარისხის დამძიმების უცარი საშიშროებაც. ბევრი ასეთი შენობა-ნაგებობა მდებარეობს სწორედ დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ ტერიტორიებზე სადაც, მათ შორის, დროებითი შეზღუდვის პერიოდში აუცილებელი ხდება III კატეგორიის ავარიული შენობების ჩანაცვლების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ფორმირება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ (დანართი №2) 72-ე მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით: „გ) III, IV და V კატეგორიის ავარიულობის მქონე შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემა);“

**№12-0323074109-03- 15.03.2023;**

ა) ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N81-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.003.020) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.11.10.003.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე იუსტიციის სახლის მშენებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 28 თებერვლის N01230593835 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით

გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, N01.11.10.003.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) რჩება ხარვეზის სახით. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიის ნაწილზე, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს ტროტუარს მიზანშეწონილია გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.11.10.003.022 საკადასტრო ერთეულზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ითა (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N81-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.003.020; N01.11.10.003.022) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ითა (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/123, ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.164) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო N01.10.13.016.164 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა წარმოადგენს, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება: კომერციული, სასტუმრო და საოფისე. ზემოაღნიშნული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების დანართი N1-ის მე-7 პუნქტის შესაბამისად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2- ისათვის (სსზ-2) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითად დასაშვებ სახეობებს წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/123, ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.164) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია N01230553510-67 განცხადებაზე წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით გათვალისწინებული მაქსიმალური სიმაღლის ნიშნულის დაცვისა და არასაცხოვრებელი ფუნქციით განვითარების პირობით;

გ) ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.028.018) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებას, რომელზეც განთავსებულია უნივერსიტეტის მე-10 კორპუსი. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს არსებული შენობის რეკონსტრუქცია დაშენება-მიშენებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენები. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება N01.14.04.028.018 საკადასტრო ერთეულის საზღვრებში სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) კონფიგურაციის ფართობის უცვლელად კორექტირებას გულისმობს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 8 თებერვლის N01230593520 წერილის მიხედვით, თავის კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა შემოთავაზებული კონფიგურაციითა და არსებული ფართობების უცვლელად, ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკის სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით N01.14.06.006.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მცირედ ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.14.06.006.097 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.028.018) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და N01.14.06.006.097 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

დ) ქალაქ თბილისში, გლდანის მიკრო/რაიონის IV მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. შენგელაიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/064); ქალაქი თბილისი, დემნა შენგელაიას და ხიზანიშვილის ქუჩების კუთხეში; ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი IV მ/რ-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.151; N01.11.12.002.141, N01.11.12.002.064; N01.11.12.002.057; N01.11.12.002.123; N01.11.12.002.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს N01.11.12.002.141; N01.11.12.002.123; N01.11.12.002.064; N01.11.12.002.057; N01.11.12.002.151 საკადასტრო ერთეულების პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 1 მარტის N01230601712 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებით ცვლილება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის სამხრეთაღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) აღნიშნული



ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებით ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის მიკრო/რაიონის IV მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. შენგელაიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/064); ქალაქი თბილისი, დემნა შენგელაიას და ხიზანიშვილის ქუჩების კუთხეში; ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი IV მ/რ-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.151; N01.11.12.002.141, N01.11.12.002.064; N01.11.12.002.057; N01.11.12.002.123; N01.11.12.002.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების გავრცელება მისაღებია;

ე) ქალაქი თბილისი, ქუჩა პეტრე იბერი, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.292; N01.10.06.001.293; N01.10.06.001.294; N01.10.06.001.295; N01.10.06.001.296) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს კოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების გადაცემა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯაროს სამართლის იურიდიული პირის- ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 1 მარტის N61-0123060191 და 2022 წლის 28 ნოემბრის N61-01223322157 წერილის შესაბამისად „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - [www.Tbilisi.gov.ge](http://www.Tbilisi.gov.ge) - 2019 წლის 8 თებერვლიდან 2019 წლის 8 მარტის ჩათვლით განთავსდა მოწვევა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირების/ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა პირების დაკმაყოფილების მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე - ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ, N01.10.06.001.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16885 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ უძრავ ქონებაზე ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა საცხოვრებელი ზონა 6-ისათვის (სზ-6) დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ კოეფიციენტად (კ-2) განისაზღვრა არაუმეტეს 3.6. ასევე, აღსანიშნავია, რომ N01.10.06.001.292 და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კოოპერატივის წევრებისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 ნოემბრის N22.1748.1894 განკარგულება და დღეის მდგომარეობით საკითხს განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის აღმოსავლეთით სამრეწველო ზონა 1-სა (ს-1) და საპროექტო ტერიტორიას შორის ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-



საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ასევე, რეგისტრაციის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში სარკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე იბერი, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.292; N01.10.06.001.293; N01.10.06.001.294; N01.10.06.001.295; N01.10.06.001.296; N01.10.06.001.018-ის ნაწილზე) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელი დიდგორი, ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევი, N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.016.351) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 მარტის N0123068969 წერილის მიხედვით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შესაბამისი შეთანხმების წერილები (N16-01222912461; 18/10/2022, MIA 5 22 02976318; 24/10/2022). ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია განსახილველი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, სატრანსპორტო ქვეზონა მოიხსნას მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ზემოხსენებული სქემის შესაბამისად, არ არის განკუთვნილი გზის მოსაწყობად. ამასთან, მიზანშეწონილია არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონტური დაკორექტირდეს და გავრცელდეს აღნიშნული სქემით გათვალისწინებული საპროექტო გზის მონაკვეთზე, მათ შორის, განსახილველი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, უნდა დაიტვირთოს სერვიტუტით. საპროექტო N01.72.14.016.351 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ერთიანი კონფიგურაციის ჩამოყალიბების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.72.14.016.351 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიდგორი, ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევი, N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.016.351) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.001) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული

ფართობია 12 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთებს შორის არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია- 65,2 კვ.მ გადაგეგმარდება განაშენიანების რეგულირების გეგმაში შემავალი ნაკვეთების ფართობების ჯამის უცვლელად. საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორია ძირითადად განაშენიანებულია დაბალი და საშუალო სიმაღლის შენობებით (მაქსიმუმ 7 სართული). საპროექტო არეალის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს დიდი ბრიტანეთის საელჩო და კრწანისის რეზიდენცია. სატრანსპორტო კავშირი ტერიტორიამდე ხორციელდება კრწანისის ქუჩიდან და კრწანისის მე-2 ჩიხიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზევერცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N375 და ამავე წლის 7 ოქტომბრის N541 განკარგულებებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტები. საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია არსებული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მთელ ტერიტორიაზე. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ხდება დაურეგისტრირებელი ტერიტორიის კონფიგურაციის ცვლილება ფართის უცვლელად (65,2კვ.მ.). საპროექტო ტერიტორიაზე გადადის სს „თელასის“ საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზები და „თბილისი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული დაბალი წნევის გაზსადენი. შესაბამისად, გათვალისწინებულ უნდა იქნას აღნიშნული უწყებების 2022 წლის 05 ივლისის N0705/132/22 და 2022 წლის 9 ნოემბრის N01-13-91159-22 წერილები. ტექ- ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწისნაკვეთის ჯამური ფართი: 12 461 კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) ფართი - 12 461 კვ.მ. საპროექტო კოეფიციენტები:კ-1=0,5;კ-2=2,1;კ-3=0,3 მაქსიმალური სართულიანობა : მიწისზედა 5 სართული. არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). საპროექტო ფუნქციური ზონირება :საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 15 მარტის N0123074464 წერილის შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 27 თებერვლის N 0123058125 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

*საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.*

***აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N5-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩა N62; ქალაქ თბილისში, კრწანისის II ჩიხი N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.162;***

**N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-0323074123-03 15.03.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01223562141-67 (N01230253931-67; N01230542485-67; N01230684132-67; N01230723236-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.**

12. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევი №7ა-ში; ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.011; №01.17.11.027.144; №01.17.11.027.145; №01.17.11.027.143; №01.17.11.027.134) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” ([საკრებულოს №12-0323074116-03- 15.03.2023](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევი №7ა-ში; ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.011; №01.17.11.027.144; №01.17.11.027.145; №01.17.11.027.143; №01.17.11.027.134) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ფართობია 10 655 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფართობია 10575 კვ.მ. ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის- 80 კვ.მ. საპროექტო არეალის მიმდებარედ ფიქსირდება შერეული ტიპის განაშენიანება, კერძოდ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, სპორტული მოედანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირედ ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); გამწვანებული ტერიტორიების ფენით მცირედ ნაწილზე შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ტერიტორიაზე მოეწყობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი. მიწის ნაკვეთის სავარაუდო ტექნოლოგიური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) – 10 655 კვ.მ. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორიის ფართობი-დაახლოებით 2340 კვ.მ (სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)); სამოსახლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 1; სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 2; შენობების რაოდენობა - 2; შენობა-ნაგებობების მინ. და მაქს. სართულიანობა - 11-13; საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სზ-6 კ1-0.5, კ2-2.5 , კ3-0.3 ტზ-1 კ1- , კ2- , კ3-0.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 14 თებერვლის N01230452631 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს



დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 16 თებერვლის N0123047453 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 24 თებერვლის N61-01230551126 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული რეგისტრირებული და დაურეგისტრირებელი ტერიტორიები, ასევე 01.00.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობა (გარე განათების ხაზი) მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2023 წლის 24 იანვარს N01230243696-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

*საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევი №7-ში; ზოგდან ხმელნიცკის ქუჩა №48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.011; №01.17.11.027.144; №01.17.11.027.145; №01.17.11.027.143; №01.17.11.027.134) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-0323074116-03 15.03.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი №01222932602-67 ( №01223493480-67; №01230122463-67; №01230243696-67; №01230393824-67; №01230443778-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

13. ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-0323074126-03- 15.03.2023](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ნაკვეთს არასტანდარტული ფორმა აქვს და ხასიათდება რთული რელიეფით, ნიშნულებს შორის სხვაობა გარკვეულ მონაკვეთებში 20 მეტრსაც კი აღემატება. საპროექტო ტერიტორიასთან სამანქანო კავშირი ხორციელდება დიმიტრიადის და მუსხელიშვილის ქუჩების გავლით, რომელიც შემდგომ უკავშირდება შ. პეტეფის ქუჩას. საპროექტო ნაკვეთზე გადის მიწისქვეშა წყალსადენი და დაცულია 10 მეტრიანი შეზღუდვის არეალი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული



მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), მცირედ ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ). შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) კოეფიციენტებით. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი 2 ბლოკად. ორივე ბლოკი იქნება 13 სართულიანი. რელიეფიდან გამომდინარე მიწისქვეშა სართულზე მოეწყობა ავტოსადგომები და კომერციული ფართები. ობიექტზე შესვლა მოხდება სხვადასხვა ნიშნულიდან. საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა შესაძლებელი იქნება ჩრდილოეთ მხარეს ო. დიმიტრიადის ქუჩის მხრიდან. მიწის ნაკვეთის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 - 0.5; განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ2 - 2,5; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 - 0.3; შენობების რაოდენობა: 2 შენობა; გამწვანებული ტერიტორიის ფართობი (სავარაუდო): 4376.8 კვ.მ; სათამაშო მოედნების ფართობი (სავარაუდო): 383.1 კვ.მ; გზისთვის განკუთვნილი ტერიტორიის ფართობი (სავარაუდო): 529.18 კვ.მ; შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა (სავარაუდო): 13; შენობა-ნაგებობის სიმაღლე (სავარაუდო): 39 მეტრი; ავტოსადგომების რაოდენობა (სავარაუდო): 102 მიწისქვეშა ავტოსადგომი; არსებული ფუნქციური ზონირება - ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 15 მარტის N01230742983 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 1 მარტის N0123060264 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

*საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.*

***შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.***

14. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.060; N01.14.16.008.142; N01.14.16.008.144; N01.14.16.008.143; N01.14.16.008.141; N01.14.16.008.140) კინო-ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე [\(საკრებულოს №12-0323074121-03- 15.03.2023\)](#)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტინემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.060; N01.14.16.008.142; N01.14.16.008.144; N01.14.16.008.143; N01.14.16.008.141; N01.14.16.008.140). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 30 691 კვ.მ; ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელია ფერმწერთა ქუჩის გავლით; მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია ორი შენობა-ნაგებობა და მცირე ზომის ეკლესია. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით ტერიტორიის ნაწილზე შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა2 (რზ-2); ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირებით კი ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N209 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ტერიტორიის გამოჯვანა 5 გეგმარებით ერთეულად, საიდანაც 1 გეგმარებითი ერთეული დაეთმობა არსებულ ეკლესიას; დანარჩენი კინო-ქალაქს, სადაც განთავსდება 5 შენობა-ნაგებობა (ავტოსადგომი; ადმინისტრაცია; კონსკოლა; კამპუსი; საწყობი; სტუდენტა საცხოვრებელი; კომერციული). შენობის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ჯამური ფართობი: 30 691 კვ.მ; საპროექტო ტერიტორია ვითარდება 5 მიწის ნაკვეთად: ნაკვეთი N1 - ფართობი 819 კვ.მ. სპეციალური ზონა 1 (სპეცზ 1) კ-1=0.2 (1662,2 კვ.მ) კ-2=0.1 კ-3=0,8 (664,8კვ.მ) მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა 1 სართ; 5მ; დასაშვები ფუნქციები: საკულტო (ეკლესია); ნაკვეთი N2-ფართობი 12 კვ.მ სპეციალური ზონა 1 (სპეცზ 1) კ-1=0.1 კ-2=-0.1 კ-3=0.00 არსებულ რეისტრაციაზე განთავსებულია ეკლესია; ნაკვეთი N3- ფართობი 197 კვ.მ. სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) კ-1=0.0 კ-2=0.0 კ-3=0.2 (40 კვ.მ) დასაშვები ფუნქციები: ავტოსადგომი; ნაკვეთი N4 - ფართობი 18 781 კვ.მ. სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) კ-1=0.3 (5 860 კვ.მ) კ-2=0,8 (15 303 კვ.მ) კ-3=0,3 (4201.8 კვ.მ) მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა 6 სართ; 19,8 მ. დასაშვები ფუნქციები: ადმინისტრაცია; კინოსკოლა; კამპუსი; საწყობი; ნაკვეთი N5 - ფართობი 10 882 კვ.მ. სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) კ-1=0.4 (4 800 კვ.მ) კ-2=0.4 (4 800 კვ.მ) კ-3=0.2 (1 733.2 კვ.მ) მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა 1 სართ. 16 მ. დასაშვები ფუნქციები: პავილიონი; არსებული ფუნქციური ზონირება : სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საპროექტო ფუნქციური ზონირება : სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 7 თებერვლის N01230383809 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს კინო-ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 23 თებერვლის N0123054417 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 იანვრის N 5 / 4 0 7 4 წერილის შესაბამისად, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, ქალაქ

თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული N01.14.16.008.141, N01.14.16.008.060, N01.14.16.008.144, N01.14.16.008.142, N01.14.16.008.143 და N01.14.16.008.140 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება განხორციელდეს იმ პირობით, რომ რეგულირების გეგმაში მოქცეულ ყველა ნაკვეთზე გავრცელდება სპეციალური ზონა 1-ის მოთხოვნები, სახელმწიფოს არ წარმოემოზა რაიმე სახის ვალდებულება, ზიანი არ მიადგება ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებას და შესაძლებელი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, აღნაგობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების დამოუკიდებლად განვითარება.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს კომისიის წევრმა ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

*ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.060; N01.14.16.008.142; N01.14.16.008.144; N01.14.16.008.143; N01.14.16.008.141; N01.14.16.008.140) კინო-ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

15. ქალაქ თბილისში, ვ.ფშაველას I შეს. N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-0323074114-03-15.03.2023](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვ.ფშაველას I შეს. N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 15 254 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 15 101კვ.მ. ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის - 153 კვ.მ. აღნიშნული 153 კვ.მ. ტერიტორიის პერიმეტრზე გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მოხდეს საზღვრების კორექტირება ფაქტობრივი მდგომარეობით და საავტომობილო/საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). გამწვანებული ტერიტორიების ფენით მცირედ ნაწილზე შემოთავაზებულია შიდა კვარტალური გამწვანება. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით საპროექტო ტერიტორია სრულად განვითარდება საზოგადოებრივსაქმიანი ზონა (სსზ-2)-ით; საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია

მრავალფუნქციური კომპლექსის (შენობების) მშენებლობა, სადაც განთავსდდება მრავალბინიანი საცხოვრებელი, კომერციული და სხვა დანიშნულების ობიექტები. შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, გათვალისწინებულია N01.14.03.034.016; N01.14.03.034.015 საკადასტრო ერთეულზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, ამასთან, დაგეგმილია "პროფკავშირების" შენობაზე არსებული მოზაიკის შენარჩუნება და მისი ერთ-ერთ საპროექტო ობიექტზე მოწყობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდდება შენობა-ნაგებობები საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე ფართებით, ფუნქციური გადანაწილება: საცხოვრებელი-75%, საზოგადოებრივი- 25%. ასევე, პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია N01.14.03.034.002 საკადასტრო ერთეულზე არსებული სს „თელასის“ შენობის გადატანა/ადგილმონაცვლეობა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N380 განკარგულებით შეთანხმდა ხელშემწყობი ღონისძიებები „ქ. თბილისი, შარტავასქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავასქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრეიბერისქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძისქ №16 (ყოფილიმარშალგელოვანისგამზირი №1ა-1ბ, დიდმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანისქუჩა №2 (ს/კ № 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტებისქ № 45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუასქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) - არსებულისამშენებლოობიექტებისდასრულებისთვისფინანსურიმხარდაჭერისმიზნითმშპს „ცენტროინტეჯუვის“ (ს/ნ. 204460957) დაშპს „დელისიდევლოპმენტის“ (ს/ნ. 405466865) მიმართმისამართზე - ქ. თბილისივაჟა-ფშაველას I შესახვევი, №1/43 (ს/კ. №01.14.03.034.011) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2-4.6 დან 5. 3-მდე; ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება განხორციელდეს იმგვარად, რომ საპროექტო არეალზე არ გავრცელდეს განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრისთვის დადგენილი რეგულირება; ზემოაღნიშნულის შესაბამისად მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.034.011) მოხდა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2-4.6 დან 5.3-მდე. ასევე, აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდდება შენობა-ნაგებობები, შემდეგი ფუნქციური გადანაწილებით: საცხოვრებელი ფუნქცია- 25%, საზოგადოებრივი ფუნქცია- 75% (კომერციული, საოფისე, სავაჭრო და სხვა). საპროექტო შენობა-ნაგებობებისთვის ავტოსადგომების მოწყობა სრულად მოხდება მიწისქვეშა ტერიტორიაზე. სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი 15 254 კვ.მ მიწის ნაკვეთების რაოდენობა – 3; შენობების რაოდენობა 6; სართულიანობა 1-35 სართული; ნაკვეთი N 1 -10 038 კვ.მ კ1-0.5, კ2-4.6, კ3-0.3 - საცხოვრებელი75%, საზოგადოებრივი25%; ნაკვეთი N 2 -5000 კვ.მ კ1-0.7, კ2-5.3, კ3-0.2 -საცხოვრებელი 25%; - საზოგადოებრივი 75%; ნაკვეთი N 3- 63 კვ.მ კ1-0.7, კ2-4.6, კ3-0.2 -საინჟინრო ნაგებობა 100%; არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), შიდა-კვარტალური გამწვანება. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-161 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები

პროცენტულობის გადამეტებისთვის განსაზღვრულია მაკომპენსირებელი ღონისძიებები. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, არანაკლებ 50 კვ.მ.-სა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა. მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა (ფართობი დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 1 მარტის N01230601698 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 2 მარტის N01230612151 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 1 მარტის N61- 01230603280 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებული სივრცე მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2023 წლის 13 თებერვალს N01230443983-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ვ.ფშაველას I შეს. N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

*კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გამოითქვა მოსაზრება, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებზე -ს/კ ,N01.14.03.034.016; N01.14.03.034.015 ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება არ მოხდეს, სანამ არ იქნება ექსპლუატაციაში მიღებული ს/კ N01.14.03.034.011- ზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.*

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრმა ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.



*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

*პროტესტის ნიშნად კომისიის სხდომა დატოვებს კომისიის წევრებმა - ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა, საბა ბუაძემ და მიხეილ კაკაურიძემ.*

16. „ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-0323074113-03- 15.03.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002). მიწის ნაკვეთის ფართობია 11 369 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობდა საბჭოთა დროინდელი საწარმო, რომლის დომონტაჟიც დაგეგმილია საპროექტო წინადადებით. ტერიტორიასთან სამანქანო კავშირი ხორციელდება დასავლეთის მხრიდან, სამურზაყანოს ქუჩის გავლით ცხრა ძმის ქუჩიდან, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან გრუნტის გზის გავლით ცაიშის ქუჩიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), მცირე ნაწილზე- სატყეო და სპეციალური ზონა 1 (სპეც-1), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონა. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N457 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით ტერიტორიის განვითარება ხდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის კოეფიციენტებით. მასზე დაგეგმილია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა შიდა საუბნო გზები ტროტუარებით, სარეკრეაციო (სპორტული და ღია სათამაშო მოედნები) და კომერციული (მაღაზია, აფთიაქი და სხვა) სივრცეები. ავტოსადგომები სრულად მოეწყობა მიწისქვეშა დონეზე. ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 - 0.5 ; განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ2 - 1,4 - 15 400 კვ.მ; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 - 0.3 - 3419 კვ.მ; შენობების რაოდენობა: 2 შენობა; მაქსიმალური სიმაღლე - 15 მეტრი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის N01230553539 წერილის შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 22 თებერვლის N01230533430 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

17. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-0323074110-03-15.03.2023](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118). საპროექტო ტერიტორიის ფართობია 18761 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია შიდა კვარტალური გამწვანება. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის მიხედვითაც, საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები: კ1 – 0,7; კ2 – 3,5; კ3 – 0,2; მაქსიმალური სართულიანობა - 4 სართული; პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები: A ბლოკი - ადმინისტრაციული შენობა. B ბლოკი - პავილიონები/სტუდიების შენობა. C ბლოკი - კინოფორების არქივი. D ბლოკი - ტექნიკური შენობა. E ბლოკი - ავტოსადგომი. საპროექტო მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილზე, მდებარეობს სანიაღვრე კოლექტორი, სადაც შპს“თბილსერვის ჯგუფის“ მიერ დადგენილია შემდეგი შეზღუდვა: ყოველი შენობა-ნაგებობის კედელი სანიაღვრე კოლექტორის კედლიდან დაცილებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 5 მეტრისა. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით იგეგმება A და B ბლოკებს შორის მიწისპირა სართულზე დამაკავშირებელი ხიდი, ასევე, C ბლოკს, რომელიც წარმოადგენს არქივის მიწისქვეშა შენობას, ემატება ერთი მიწისზედა სართული (ერთი მიწისქვეშა და ერთი მიწისზედა). ამასთან, იგეგმება D (ტექნიკური შენობა) და E (ავტოსადგომი) ბლოკების კონფიგურაციის ცვლილება (გაზრდა). დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სხვა პარამეტრები რჩება უცვლელი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 28 თებერვლის N012305931 წერილის შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

18. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.005); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.002) 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.014) - მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „სანამის“ (ს/კ 402191150) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების შესახებ“ [\(საკრებულოს №12-0323074125-03-15.03.2023\)](#)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

კომისიამ იმსჯელა: მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ: 01011013838) მიმართ, მისამართებზე ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრადის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქ. N59-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (N01.10.12.033.009, ფართობი - 438 კვ.მ) - მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით: მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.1-დან 2.7 - მდე; კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები; ნათელა ურუმაშვილმა (პ/ნ: 01011013838) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 92 229 (ოთხმოცდათორმეტი ათას ორას ოცდაცხრა) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეთვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბალები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ ავართემენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; ნათელა ურუმაშვილმა (პ/ნ: 01011013838) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განხორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; ნათელა ურუმაშვილმა (პ/ნ: 01011013838) მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე; ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

19. შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ: 01011013838) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ([საკრებულოს №12-0323074125-03-15.03.2023](#))

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „სანამის“ (ს/კ 402191150) მიმართ მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.005, ფართობი - 588 კვ.მ); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.002, ფართობი - 843 კვ.მ); 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.014; ფართობი 2814 კვ.მ) მიმართებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N22.1378.1505, 7.09.2022; N23.88.103, 25.01.2023) და ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N469, 09.09.2022; N35, 27.01.2023) ხელშემწყობი ღონისძიებების ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით, შემდეგი პირობებით: დაინტერესებულმა პირმა - შპს „სანამიმ“ (ს/კ 402191150), „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბალები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად უზრუნველყოს: ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით (N469, 09.09.2022; N35, 27.01.2023) გათვალისწინებული თანხის 626 774 (ექვსასოცდაექვსი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით; ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის 184 კალენდარული დღით) გადაცილების გამო, თანხის 62 829.62 (სამოცდაორი ათას რვაას ოცდაცხრა ლარი და სამოცდაორი თეთრი) გადარიცხვა; შპს „სანამიმ“ (ს/კ 402191150), ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა, ამავე ქვეპუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა სცდებოდეს 2023 წლის 9 სექტემბერს; იმ შემთხვევაში, თუ შპს „სანამიმ“ (ს/კ 402191150), ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა გადაიხადა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადამდე (09.09.2023-მდე), ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების გამო ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა შეიცვალოს და დაანგარიშდეს შემდეგი ფორმულის მიხედვით:  $An = An-1 * (1 + r/365 * dn) - V$  სადაც:  $An$  - არის შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებულ დღეებზე  $n$  დარიცხვის რაოდენობის შემთხვევაში დაკისრებული გადასახადი;  $An-1$  - არის შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელ ვალდებულებაზე პროცენტის წინა დარიცხვის დროს არსებული ნაშთი;  $V$  - არის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა ლარში გადახდის ბოლო დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში;  $r$  - არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის N 21.929.1041 განკარგულებით შექმნილ დოკუმენტალურ აკრედიტივზე განთავსებულ თანხაზე დარიცხული წლიური სარგებელი დამოწმებული ბანკის 1.5% მომსახურების საკომისიოს გამოკლებით;  $dn$  - არის თანხაზე პროცენტის დარიცხვის დღეს სარგებლის დასარიცხი დღეების რაოდენობა. საპროცენტო განაკვეთი (7%) გამომდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის N 21.929.1041 განკარგულებით შექმნილ დოკუმენტალურ აკრედიტივზე განთავსებულ თანხაზე არსებული წლიური სარგებელის განაკვეთისგან (8.5%) დამოწმებული



ბანკის 1.5% მომსახურების საკომისიოს გამოკლებით; ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“-  
„ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ  
განკარგულებით გათვალისწინებული პირობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებებით (N469, 09.09.2022; N35, 27.01.2023)  
გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პროექტი გატანილ იქნეს  
საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად*

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სობაძემ  
სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე

*რ. სობაძე*

რევაზ სობაძე